



საკანონმდებლო სიახლეების

ცნობარი

(2020 წლის სექტემბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის სექტემბრის თვეში.

საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი"

2020 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, კერძოდ, კოდექსს დაემატა VII¹⁸–VII²¹ თავები.

აღნიშნული თავები განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ადგილზე შემოწმებასთან დაკავშირებით, ეკონომიკური აგენტისაგან/მხარისაგან/დაინტერესებული მხარისაგან ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებულ წარმოებას, ადმინისტრაციული სამართალწარმოებას ეკონომიკური აგენტის გარკვეული ქმედების დროებით შეჩერებასთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის გაუქმებისა და ეკონომიკური აგენტის იძულებით დაყოფის საკითხებთან დაკავშირებით.



ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 030000000.05.001.020180

აღნიშნული კანონი გამოქვეყნდა 2020 წლის 21 სექტემბერს და იგი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს.

საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“

2020 წლის 16 სექტემბერს, მრავალი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“. მათ შორის, შეიცვალა მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც, კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოდ არა მხოლოდ წინამდებარე კანონის საფუძველზე შექმნილი საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო, არამედ, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განისაზღვრა ეკონომიკის რეგულირებადი სფეროს მარეგულირებელი ორგანოც.

ცვლილებები და დამატებები შეეხო დომინანტური მდგომარეობის დადგენისა და მისი განსაზღვრის კრტერიუმებს, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების აკრძალვიდან გამონაკლისებს, კონცენტრაციის დადგენას, სახელმწიფო დახმარების სააგენტოსთან შეთანხმების წესებსა და პროცედურებს, სააგენტოს მართავასა და მის უფლებამოსილებებს, სააგენტოს მიერ საჩივრის მიღებისა და გარემოებების მოკლვევს წესს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კანონმა ცვლილებებისა და დამატებების შედეგად განიცადა ფუნდამენტალური სახეცვლილება.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 240140000.05.001.020181

აღნიშნული კანონი საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნდა 2020 წლის 21 სექტემბერს. კანონის ამოქმედება მოხდება ეტაპობრივად, ხოლო სრულად ცვლილებები ძალაში შევა 2021 წლის 01 ივნისიდან.



საქართველოს კანონი "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ"

2020 წლის 18 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ". აღნიშნული კანონის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის გზით, ხოლო რეაბილიტაციის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში – გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციით მიღებული თანხების განაწილებით.

კანონი ასევე განსაზღვრავს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პრინციპებს, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარდგენის წესსა და პირობებს, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობასა და მის თანმდევ შედეგებს, ასევე, მორატორიუმის ღონისძიებებს, გადახდისუუნარობის მასას, რეაბილიტაციისა ან/და გაკოტრების რეჟიმის გახსნის პირობებს, საცილო ქმედებებს, გაკოტრების პირობებს, სპეციალური რეჟიმის მქონე მოვალის ცნებას, საერთაშორისო გადახდისუუნარობასა და პროცესის ხარჯებს.

ზემოაღნიშნულ კანონის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 240140000.05.001.020190

აღნიშნული კანონი ამოქმედდა 2020 წლის 25 სექტემბერს, ხოლო ამ კანონის პირველი-121-ე მუხლები ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილიდან.

საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“

2020 წლის 18 სექტემბერს, რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“. მათ შორის, ხანდაზმულობის ნაწილში შეიცვალა აღნიშნული კოდექსის მე-4 მუხლის მე-10



პუნქტი, ცვლილებები განიცადა ტერმინტა განმარტების მუხლმაც. ასევე, შეიცვალა დეკლარირების წესი, კერძოდ, 168-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით სასამართლოს მიერ გამოტანილი გაკოტრების რეჟიმის დაწყების შესახებ განჩინების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 დღის ვადაში საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს გაკოტრების რეჟიმის დაწყებამდე სრული/არასრული საგადასახადო პერიოდის (პერიოდების) შესაბამისი წარუდგენელი დეკლარაციები.“

აღსანიშნავია, რომ საკონმდებლო ცვლილებები და დამატები შეეხო ქონების გადაანგარიშებისა და გადახდის წესსაც, გადასახადისგან გათავისუფლების პირობებს, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფას საგადასახადო ორგანოს მიერ, საგადასახადო გირავნობას, საგადასახადო დავალიანების ჩამოწერის ნაწილს და ა.შ.

ზემოაღნიშნულ კანონში განხორციელებული ცვლილებების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 200000000.05.001.020191.

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილს.

საქართველოს კანონი „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“

2020 წლის 18 სექტემბერს საქართველოს კანონში „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ“ განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ცვლილებებს დაქვემდებარებული მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

2. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:



„1. ურთიერთგაქვითვის შეთანხმება აღსრულებადია მისი პირობების შესაბამისად, მათ შორის, გადახდისუუნარო მხარის მიმართ, გარკვეულ შემთხვევაში – გარანტორის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ, რომელიც თავდებად უდგება ურთიერთგაქვითვის შეთანხმების მხარეს. დაუშვებელია აღნიშნული შეთანხმების მოქმედების შეჩერება, იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადება ან სხვაგვარად შეზღუდვა ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის, დროებითი ადმინისტრატორის, სპეციალური მმართველის ან მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი სხვა პირის ნებისმიერი ქმედებით, რეჟიმთან დაკავშირებული კანონის ნებისმიერი დებულებით, რომელიც ამოქმედებულია გადახდისუუნარო მხარის მიმართ, ან ამ კანონის ნებისმიერი სხვა დებულებით, რომელიც გამოიყენება გადახდისუუნარო მხარის მიმართ, თუ ურთიერთგაქვითვის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის, დროებითი ადმინისტრატორის, სპეციალური მმართველის ან მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი სხვა პირის უფლებამოსილება, შეწყვიტოს ან საცილო გახადოს რომელიმე გარიგება ან ხელშეკრულება, არ დააბრკოლებს ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით დადებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ყველა გადახდის ან/და მიწოდების ვალდებულების ან/და მოთხოვნის უფლების შეწყვეტას, ლიკვიდაციას ან/და დაჩქარებას. თუ ეს უფლებამოსილება მაინც იქნა გამოყენებული, იგი გამოიყენება ყველა ასეთი კვალიფიციური ფინანსური ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხოლოდ ნეტანხის მიმართ, რომელიც შესაბამისი ურთიერთგაქვითვის შეთანხმების დებულებების შესაბამისად დაანგარიშდება.“;

გ) მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. ადმინისტრაციულ ან მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოს, ლიკვიდატორს, გაკოტრების მმართველს/რეაბილიტაციის მმართველს/რეაბილიტაციის ზედამხედველს, დროებით ადმინისტრატორს, სპეციალურ მმართველს ან მსგავსი ფუნქციების შემსრულებელ სხვა პირს უფლება არა აქვს, შეწყვიტოს ან სადავო გახადოს ერთ-ერთი ან ორივე შემდეგი ქმედება:



ა) ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ფარგლებში გადახდისუუნარო მხარის მიერ მეორე მხარისთვის თანხის, ფინანსური გირავნობის საგნის ან ნებისმიერი სხვა უფლების გადაცემა, მისი შეცვლა ან ჩანაცვლება;

ბ) მიწოდების ან გადახდის ვალდებულება, რომელიც გადახდისუუნარო მხარეს წარმოეშვა მეორე მხარის მიმართ ურთიერთგაქვითვის შეთანხმების ფარგლებში ან მასთან დაკავშირებით და რომელიც მიიჩნევა სხვა კრედიტორისთვის ზიანის მომტან ან უპირატესობის მიმნიჭებელ ქმედებად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ნათელი და უტყუარი მტკიცებულება, რომ გადახდისუუნარო მხარემ განახორციელა აღნიშნული გადარიცხვა (გადაცემა) ან აიღო ვალდებულება მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ხელი შეეშალა, დაეყოვნებინა ან მოეტყუებინა ნებისმიერი პირი, რომელიც გადახდისუუნარო მხარის კრედიტორია ან მისი კრედიტორი გახდა ამ გადარიცხვის (გადაცემის) ან მიწოდების ან გადახდის ვალდებულების წარმოშობის დროს ან ამის შემდეგ.

7. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 372 მუხლის მე-2 პუნქტითა და 3711 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სასამართლოს, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის, დროებითი ადმინისტრატორის, სპეციალური მმართველის ან მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი სხვა პირის მიერ გამოყენებული ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები ან მორატორიუმი ვერ შეზღუდავს ან ვერ დააყოვნებს კანონის შესაბამისად დადებული და აღსრულებადი ურთიერთგაქვითვის შეთანხმების აღსრულებას ამ მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების შესაბამისად.“.

3. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) რეალიზაციის პირობების სასამართლოს, ადმინისტრაციული ან მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს, ლიკვიდატორის, გაკოტრების მმართველის/რეაბილიტაციის მმართველის/რეაბილიტაციის ზედამხედველის, დროებითი ადმინისტრატორის, სპეციალური მმართველის ან ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირების ფუნქციების მსგავსი ფუნქციების შემსრულებელი პირის მიერ დამტკიცება;“.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდი: 040000000.05.001.020195

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილს.



საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“

2020 წლის 18 სექტემბერს ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კანონში „მეწარმეთა შესახებ“. განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ცვლილებებს დაქვემდებარებული მუხლები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. 51 მუხლის: ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების ცვლილება გულისხმობს საწარმოს ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესის, გადახდისუნარობის საქმის წარმოების, გაკოტრების ან რეაბილიტაციის რეჟიმის დაწყების ან შეწყვეტის, ლიკვიდატორის, რეაბილიტაციის ზედამხედველის ან გაკოტრების მმართველის ან სარეგისტრაციო დოკუმენტის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ასახვას.“;

ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„6. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციისადმი დაქვემდებარებული გადაწყვეტილება არის საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცვლილების საფუძველი. გადახდისუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის შემთხვევაში ამ კანონით გათვალისწინებული საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი წყდება.“.

2. მე-9 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„9. თუ საწარმო გადახდისუნაროა ან გადახდისუნარობის საშიშროების წინაშე დგას, ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულმა პირებმა ბრალეული გაჭიანურების გარეშე, მაგრამ საწარმოს გადახდისუნარობის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს 3 კვირისა, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უნდა განაცხადონ ამის თაობაზე. გადახდისუნარობის შესახებ განცხადების წარუდგენლობა ბრალეულ გაჭიანურებად არ მიიჩნევა, თუ აღნიშნული პირები ამ განცხადებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული კეთილსინდისიერებით ეპყრობიან.“.

3. მე-14 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 61 პუნქტი:



„61. ლიკვიდატორზე ვრცელდება ამ კანონის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება.“.

4. 14¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. იურიდიული პირის ლიკვიდაციისას გამოიყენება „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები.“.

5. 14² მუხლის პირველი და 11 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია. იგი შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ან საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე მოვალე საწარმოს გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში მოვალის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი სასამართლოს შესაბამის განჩინებას გამოტანიდან 30 დღის ვადაში წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს. მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია გააუქმოს საწარმოს რეგისტრაცია.“.

6. 531 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) აქციების გამოსყიდვის მომენტში საწარმო აკმაყოფილებს „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, ან ასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციების გამოსყიდვის შედეგად.“.

ზემოაღნიშნული კანონის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდი: 240000000.05.001.020199

აღნიშნული კანონი ამოქმედდება 2021 წლის 1 აპრილს.



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის ბრძანება №226/04

2020 წლის 18 სექტემბერს „საწარმოთა აქციებისა და ობლიგაციების ემისიის პროსპექტის და ფასიანი ქაღალდების ემისიისა და განთავსების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 12 ოქტომბრის №226/04 ბრძანებაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელთა თანახმადაც, ცვლილება განიცადა ბრძანების რამდენიმე მუხლმა, მათ შორის, შეიცვალა ბრძანების სათაური და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“, ცვლილებები და დამატებები შევიდა აღნიშნული ბრძანების მე-3 მუხლის რამდენიმე პუნქტში, მე-11 მუხლში პროსპექტის მოქმედების ვადების ნაწილში და ასევე, მე-14 მუხლშიც შევიდა ცვლილებები და დამატებები, „ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და განთავსების ანგარიშის წარდგენის წესში“. გარდა ამისა, მე-2 მუხლს, კერძოდ ტერმინთა განმარტებას, დაემატა ტერმინების „დეპოზიტარული ხელწერილისა“ და „ემიტენტის“ განმარტებანი.

ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდი: 190040000.18.011.016497

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 21 სექტემბერს.

ბრძანება №167/04 "აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე"

2020 წლის 22 სექტემბერს გამოცემულ იქნა ბრძანება "აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე". აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა აქტივების მმართველის



ლიცენზირება, რეგისტრაცია, აღიარების წესი, გადაწყვეტილების მიღების წესი აქტივების მმართველის ლიცენზირებაზე, რეგისტრაციაზე ან აღიარებაზე, მმართველი ორგანოს წევრებისა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელების შესაფერისობის კრიტერიუმები, აქტივების მმართველის ფინანსური მოთხოვნების წესი, მოთხოვნები რისკების მართვასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის მიერ აქტივების მმართველის ლიცენზიის, რეგისტრაციის ან აღიარების გაუქმების წესი და სხვა რიგი მუხლები, რომლებიც დეტალურად განსაზღვრავენ აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზირების, რეგისტრაციის, აღიარებისა და რეგულირების წესებს.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდი: 240090000.18.011.016501

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდება 2020 წლის 19 ოქტომბერს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №605 „კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით, თამაშობის ორგანიზატორის/ნებართვის მაძიებლის, თამაშების მიმწოდებლის/ნებართვის მაძიებლისა და შერჩეული პირის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ“

2020 წლის 30 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დადგენილება „კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ფუნქციონირების მიზნით, თამაშობის ორგანიზატორის/ნებართვის მაძიებლის, თამაშების მიმწოდებლის/ნებართვის მაძიებლისა და შერჩეული პირის უფლებები და მოვალეობები“. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე განისაზღვრა შერჩეული პირის უფლება-მოვალეობანი, ასევე, ნებართვის მფლობელისა და მაძიებლის უფლება-მოვალეობები. აღნიშნული დადგენილების მიზნებისთვის შერჩეული პირი გულისხმობს შემოსავლების სამსახურის მიერ სათამაშო ბიზნესის კონტროლის ელექტრონული სისტემის დანერგვისა და ოპერირების მიზნით შერჩეული პირს, ხოლო ნებართვის მფლობელი/მაძიებელი გულისხმობს თამაშობის ორგანიზატორს/ნებართვის მაძიებელს.



ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების დეტალურად ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,
სარეგისტრაციო კოდი: 040170310.10.003.022325

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2020 წლის 30 სექტემბერს.